გერმანიისათვის, რომელიც ნაციონალური ხასიათის ხალხური
იპერის შემწეველი იყენებდა, განსაკუთრებით სანტრების და
მასხლოდელი განბა მეტორების ეს პიესა. მასში კომპოზიტორმა თავის
შემოქმედებით მისწრაფებების განჩარგობების რეალური
შესაძლებლობა დაინახა.

გერმანიის ბავშვობიდანვე იზიდავდა მღვდარი წაწერილი ხალხური
თეატრული ნაწარმოები. ნიჭური დილტრები-მხატვარი (იგი მხატვრობის-
თანო გატაცებულად) სწრაფად უნახავ საბავშვებითი ხეობა, რო-
ცა წაწავა პირველბრუნს დასა. ის სიყვარული მას სიციცხლო
ბოლოში დაკვავა. გერმანიის დრამა ვაის არა მარტო წაწერი
მუსიკალური ნაწარმის, მათ სიმღერებს, ციკვებს, მუსიკალურ-ი-
უთი რიტულებს, არამედ ლიტერატურას, ფერწერას, ხელო იპე-
რის შემქმნის პროცესში იგი წაწავებს დასაფილტვრი ცხოვრების
თანამორბად გადდა. გერმანიის მეორე წაწერილი უფლის, წაწერილი
ბუნების სწორი შემწევისა განსაკუთრებით მკვეთრად "პირველი და
ბესის" საგეოგო ხასიათი გამოვლინდა.

გერმანიის გერმანიის თავის მუსიკალურ დრამას ხალხური იპერა
ურდა. ამ განსაზღვრების ამართლებს როგორც იპერის დრამა-
ტურტილად აღწავლობა, ისე მისი ხასიათი და მუსიკალური ენა. მე
ვხრად მესიციხიანია,—აღნიშნავდა კომპოზიტორი,—თუ რატომ
ვფრდი ჩვენი წარწერების ხალხური იპერა. განმარტება ძალ-
ზე მარტავს: "პირველი და ბესის"—ხალხის ისტორია და ბუნე-
რებისა, რომ მისი მოქმედი პირები ხალხურ მუსიკას უნდა მღეროდ-
ნენ. კავშირი ფოლკლორული საოვერტურის მეტად მღეროდ და რე-
განულია. იპერის მუსიკალური ენის ნაციონალური ხასიათი უშუა-
ლოდ წაწერილი ფოლკლორითაა მომდინარეობს, მაგრამ ხალხური
მასალა იმდენად შემოქმედებითაა დაშუქებული, რომ იპერის
მუსიკალური ენა სავსად ცხლდება ეთნოგრაფიკული მანერის
სის. მთუ შევხვდავთ ამისა წაწერილი ხალხური სიმღერის ინტონაცი-
ური ბუნება, უთარხსად თითოთივე ტემპირავს "პირველი და ბესის"
პირველბრუნს, რომლის სიკეთე ფურცელს მსგავსებს. ის განსაკუთ-
რებით ენება განვითარებულ საგნად ენობრივად, რომლებიც მუ-
სიკალური დრამატურგიაში მინდობილად როლს ასრულებენ. ვუნ-
სი იგი როგორცღაც ერწმუნას მოქმედებს, რომ შუამდებლელ-
ისეთი ლიკავური აუცილებლობის წარმოადგენენ, რომ შუამდებლელ-
ისეთი იქნება არა რეალისტული იპერის საფუძვლი სიმღერისა, არამედ
მრავალმხანი იმპროვიზაციისა. ამ შრომ იპერაში განსაკუთრებით
გამოყოფად დრამატული საგნადი სცენა—მუსიკალური მეტოქის და
ტრების ენობრივ (იპერის) სახეიანი საგნადი ვაისინდოლი, რომელსაც
რატომღაც კომპოზიტორს სამწიფური დროს ჩაადებუ-
ლი ფოლკლის ფულის ბავების ურეგებს. აგრეთვე ფართოდ განვი-
ხარებულს პოლიფონიური ანსამბლი ვაისინდის სცენაში და ოპ-

ტისტიტური პათოსით აღსავსე ფინალური გუნდი, აგებულია "პირ-
ვი", "პირიუბელის" ინტონაციები. იგივე შეიძლება თქვას სხე-
ტილად კოლორიტული ვარსებ ენობრივად წაწერილი ნაწი-
კის და მთავრობის სხვა სცენების. რაც შეეხება იპერის მთავარ
გამკვეთ პირებს—პირებს და ბესს, მათი მუსიკალური პარტია
გამკვეთულია წაწერილი ხალხური მელოსის ნონეებით. მაგრამ იუ პო-
რება მუსიკალური ენა უფრო ახლოს დასა წაწერილი საფუძვლ სიმ-
ღერების ინტონაციურ უწყობას, ბესის პარტია უფრო პოპულარულ
ლირიკული სიმღერისა საფუძვლ ეწყობება.

"პირველი და ბესის" მუსიკალური სტილი მუსიკალური მომხმენისა
უშუალო ასოციაციის ირვეს გერმანიის ლირიკული სიმღერების,
მისი "ისებური რაოსლიანის", კონცერტის მუსიკალური ენისათა.
მაგრამ დაკვირვებულად ანალიზი "პირველი და ბესის" სავსად გან-
საკვეთს 20-იანი წლების გერმანიის მუსიკალური ენისაგან. იგი უფ-
რო მღვდარი, დახვეწილი, ახალი ეტიკური ნაკადით აღარმეყოფი-
და თითოთიყო, ხოლო სარკისტრო ფერწერის ურთავლ იმპე-
სინისტრული მანერისაც წაფავიანებს. ასეთივე რა, რაც კიბედა
და გერმანიის ადრულ წაწერილობებს სპირიტებს, ეს პირველი რა-
ბა ნათლად სასიმღერო სწავისი, მელოდური გამომხიბვლობა და
ეტიკურიობა.


იპერის ხალხურიობა თვის მის დაწამატურტილად აღწავლილ
განვლილად, "პირველი და ბესის" არის "ნაციონალური" პოპულური
იპერის თავისებურად ათვისებლობა საზე. რომელიც გულისხმობს
განვითარებულ სადასაპირ სცენების მომხიბვლილობის მუსიკალურ
ენად ხასიათის სასიმღერო პოპულარობა. სწორედ ამიტომ ეთობა
დიდი ადგილი იპერაში არისა და დღემდეც ირავდ, მუსიკალ-
ური ენით ამოხატებულად განსაკუთრებული ინტონაციები. ვადასავა ჩაყე-
ტილი ფორმები (არა, დუბტი, სიმღერა) სიმღერა—სამტყვე-
ლი და რატომღაც იმდენად უპასუხიარა, რომ მათ შორის წაწერი-
არც იუ შეიწინავეს კონტრასტული ენობრივების მონაცვლობა ხო-
ჯერ კენჭმეტრტიკადილი კადრების შეგრძნების იწყებს. ზოგ-
ითეატრალია და განვითარების მინახავს რიტმი იპერის განსაკუთ-
რებით სცენურისა ხდის. გერმანიის "პირველი და ბესის" დრამატურ-
გიაში საოპერო ენისი პირობობისა უწყუადი და მუსიკალური
წარწერილობის განვითარების არამეყოფილად თავისებურების მიო-
ლა [ესე კომპოზიციულობისა იმინა თავი]. ამიტომ ურეგება
"პირველი და ბესის" არა იპერა, არამედ მუსიკალური დრამა, უფრო
სწორად, თეატრალური პიესა, განსახიბვრებელი მუსიკა.

მაგრის, სიმთხვეური მუსიკალურ-სცენური ფორმები, მღვდარი
და "მომხატვარი" ტემპირების დანიშნური შეინაცვლება, მოქმე-
დების "კენჭმეტრტიკადილი" სისწრაფე განსაკუთრებით აღმან-
სათობელია ვადა ჩვენი საუბრის მუსიკალური თეატრისათვის. ეს
მთლიან სხესხავს და ძალით გამოწვდა ს. პირველბრუნს საოპერო
შემოქმედებისა. ასე რომ, გერმანიის პირველბრუნს საოპერო
ენად სხეს მუსიკალური დრამისა და სახეიანი ბუნებისა იყო
თანამედროვეობის შესატყვისი ფორმების ძიების თვალსაზრის-
ით.

"პირველი და ბესის" მთავარი აზრი განსილია მისი ირი პერსო-
ნების ფსიქოლოგიური საყვარის ჩვენი. კეთილშობილებისა და
მუნდობის სიმბოლო— პირველი უფროსად დასაყვალა (მას შე-
ხევი ვადა მუსიკალური). ბესი ეს ახალგაზრდა ღამის ქალია, რომელ
ქალს არა საჩუკებლობს პავისციტობა. პირველი ცხოვრების
მომიერ უფროსი ქალს დახმარების ხელს ვაუწყებს, და ბესი სიყ-
ვარული უპასუხებს მის ამ მოქმედებს. მაგრამ ახალგაზრდა ქა-
ლისთვის ძენილა მოადინის თავისი ბუნების მეტეორი გარდატე-
ბა. წარსული მსუბუქი ცხოვრება კვლავ უბნობს მას. ასეთია იპე-
რის მუსიკალური-სცენური მოქმედების დრამატული დრო. იპე-
რის ძირითადი აზრობივა მთავრანახალხებულად აღმანიანისა და ცხოვ-
რების სინამდვილის დაპირისპირება. აქედან გამომდინარეობს
უსაზღვრო ჩრქვენი სიყვარულისა და ზუმანობის კეთილშობილურ
გრძნობებში. უფრობით რა იპერის ფინალურ სცენას, სადაც ფო-
ლორად დასაყვალა, მაგრამ ბუნებით მაღალი სიყვარული მიეგზავრე-
ბა ნიო-იპერის ბესის სანებნულად, უნებლად გახსნილბრუნს მინერ-
ტისთვის ბოთია თვის. მასავი დაშუქავებული პირები რომ წაწე-
ვისთვის პრემია, ხალხისა, რომელიც ისტორიული თანამედროვეობის
პოპულარს არსებობის უფლებს და იმედს თეატრის შემოქმედის
მინახავს. "პირველი და ბესის" ერთხანად მინახავს არა მარტო ამე-
რიკის ფართო პუბლიკისათა, არამედ საზღვარგარეთულიც, და მისი
ურთავსად მართლ მხატვრული ღირებების გამო უდესლობითა
ერთგებლობა ამერიკული ნაციონალური საოპერო ხელოვნების
იპერის საუკეთესო წარწერებებზე.

გერმანიის ქმნილებები ხელოვნების ატყუალური აღმანიების
გადაწყვეტა, მარტო გერმანიის დიდი პოპულარობისა, უნდა ვე-
თიო მისი შემოქმედების მთ განსაღ მარტალური, რომელიც უფ-
რალი ადამიანებზედა სიყვარულზედა აღმოცენებული.

სოსუმის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი



სოსუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობა



ოსუმის თეატრის წარსულშიც მრავალჯერ მოუხიზლავს მაყურებელი მაღალი ოსტატობით შექმნილი სცენური ნაწარმოებებით, მაგრამ მხატვრული სისრულითა და მთლიანობით აღბეჭდილი ისეთი სეზონები, როგორც ვასლ წელს ჰქონდათ, ალბათ ბევრი არ ექნებოდათ ადრე. მთავარი, რაც პირველ რიგშია აღსანიშნავი გასულ თეატრალურ სეზონში სოსუმელთა მიერ შექმნილ სპექტაკლებში, ეს არის თეატრის მხატვრული კოლექტივის პროფესიული სიწიფე და ნათლად გამოხატული მისწრაფება ახლის ძიებისაკენ სასცენო ხელოვნებაში. თეატრის ხელმძღვანელობა, როგორც ჩანს, ერთი ძირითადი პრინციპით უდგება ხარვეზტუარო პოლიტიკის საკითხს, — შექმნას ისეთი სპექტაკლები, რომლებიც მაღალ იდეურ ღირებულებასთან ერთად ეანრული და სტილისტური მრავალფეროვნებითაც დაკმაყოფილებს ჩვენი მაყურებლის დიდ მოთხოვნილებას. ამიტომ არის, რომ თანამედროვე ქართული და რუსული დრამატურგიის გვერდით თეატრის თავის რეპერტუარში აქვს რუსული კლასიკური დრამატურგიისა და თანამედროვე უცხოური დრამატურგიის საუკეთესო ნაწარმოებები.


უთუოდ მისასაღმებელი და მხარდასაჭერია შესანიშნავი ინიციატივა სოსუმის თეატრის აფხაზური დასისა, რომელიც ყოველ მხრივ ხელს უწყობს და ახალი სეზონი იმ აფხაზ ავტორებს, რომლებიც დრამატურგიის უარში მუშაობენ. აფხაზური დასის ხელმძღვანელობა (მთავარი რეჟისორი — სპ. სსრ სახალხო არტისტი აზიზ ავრბა) უკანასკნელ წლებში სისტემატურად დგამს აფხაზ ავტორთა პერსებს და ამდენად სოსუმის თეატრი თანამედროვე აფხაზურა დრამატურგიის განვითარების ერთ-ერთ მძლავრ ფაქტორად იქცა.

იმ საუკეთესო სპექტაკლებს შორის, რომლებიც გასულ თეატრალურ სეზონში განაზორციელა სოსუმის თეატრმა, უნდა მოვიხსენიოთ ა. ჩეხოვის „ივანოვი“, ფიგერედოს „მელა და ყურძენი“.



ბაბაიანი — თ. ბაბლოვი, ბორკინი — ბ. წიფურია
(სოსუმის თეატრი)

რ. თეატრთქილავი ივანოვის როლში



სცენა სპექტაკლიდან „ივანოვი“





ცოლუბი — ჩუბინიძე, კელია — თ. ბოლქვაძე (მელო და ყურძენი)

სცენა სპექტაკლიდან „მელო და ყურძენი“



ბ. ტომასის „ჩარლის დიდა“ და ცოტა ადრე დადგმული, მაგრამ ძალზე საინტერესო სპექტაკლი „რევიზორი“. აფხაზური დრამის ჩვეულებრივ ტალებს შორის პროფესიული ოსტატობის დონით გამოირჩევა ჩინელი დრამატურგის ცაი იუის „ტიფუნი“ და ისეთი სახელგანთქმული ნაწარმოებებია, როგორც „მელო“. ამ უკანასკნელ სპექტაკლის შესახებ (დამდგმელი გ. სულაიშვილი) უკვე ბევრი კარგა იქცა და სამართლიანადაც ამიტომ აქ ადრე გაეგარებლეთ მასზე მსჯელობას. სამაგიეროდ, ორიოდ სიტყვით უნდა დავახასიათოთ „ტიფუნი“ და აფხაზი დრამატურგის შ. ჰედასის თანამედროვეობის თემაზე დაწერილი პიესა „ვიწყოფილა ჩვენ შორის ყურე“, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინ განახორციელა აფხაზურმა დამამ.

სასიხარულო ფაქტია, რომ უკანასკნელ ხანს საჯაროობა წინვალა დეტეკო სოსუმის თეატრის აფხაზურ დრამას. ამაში, ცხადია, დიდა როლი ითამაშა თეატრში იმ ახალგაზრდა აქტიორული თაობის მოსვლამ, რომელმაც უმაღლესი თეატრალური განათლება თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში მიიღო და სწავლის დასრულების შემდეგ მხარში ამოუდგა უფროსი თაობის ისეთ გამოცდილ მსახიობებს, როგორც არიან ა. აგაბა, სპ. სსრ სახალხო არტისტი ბ. ზუსბა და ა. არგუნ-კონოშოვი, სპ. სსრ დამსახ. არტისტები ე. შაყერბაი, მ. კასლიანი და ვ. დანარი, სპ. სსრ სახალხო არტისტი შ. უსაილია აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტი დ. მიქვაბია, სპ. სსრ დამსახ. არტისტი მ. კოვე და სხვ. ახალგაზრდობამ ახალი მიწები და მოსწრაფებები მიიტანა თეატრში, მეტი შემოქმედებითი შესაძლებლობა შექმნა დასს. ყოველივე ეს სულ მალე დეტეკო აფხაზური დრამის სპექტაკლებს და თუ უკანასკნელ ხანებში თეატრი სულ უფრო ზნორად აღწევს შემოქმედებით მიღწევას, ამაში, რაღა თქმა უნდა, ახალგაზრდა თაობასაც მიუძღვის საგრძნობი ღვაწლი.

თუ რა შედეგს მიადნია აფხაზურმა დამამ გამოცდილი მსახიობებისა და ნიჭიერი ახალგაზრდების ერთობლივი შემოქმედებითი შრომით, ამის ნათელი ილუსტრაციაა სპექტაკლი „ტიფუნი“. საინტერესო რეჟისორულ ნაშუქვართან ერთად ეს დადგმა გამოირჩევა საუკეთესო აქტიორული შესრულებით. მძაფრი დრამატუზმი და შინაგანი მოღაწეობა ახასიათებს მთავარი როლის გოგო პუ-იუანის შემსრულებლის ჩ. ჯენიას თამაშს, თუმც ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერთგვარი ერთფეროვნების იერი მაინც დაჰტყავს მის განსაზღვრებას, როლის არსში დრამად ჩაწვდომის უნარი შეინიშნება გოგო ფანის შემსრულებლების ე. შაყერბაის და ა. არგუნ-კონოშოვის თამაშში. წარმატებით დავეყვარებ აგრეთვე ვ. დანარის (ლუ ში-პინი), ს. საკინას (ლუ გუი), ი. ციარუნის (ჯოუ პინი) და სხვათა მონაწილეობა ამ სპექტაკლში. მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას მაინც ახალგაზრდა მსახიობის, თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულის ე. კოლონიას (ლუ სი-ფანი) ნიჭიერი შესრულება იწყვეს. ე. კოლონიას კარგ სცენურ გარეგნობასთან ერთად როლის შინაგანი ბუნების ამოსხნისა და საინტერესო თეატრალური ფორმით წარმოდგენის ჩინებული უნარი ჰქონია. ამ ახალგაზრდა მსახიობ ქალს უფოოდ კარგი მომავალი აქვს თეატრალურ სახიზრედ თუ თავის ბუნებრივ მონაცემებს თეატრის ხელმძღვანელთა დახმარებით სწორი გზით წარმართავს, საიმედო აქტიორული ძალა იზრდება აფხაზურ დასში დ. კარტავას (ლუ და-ხაი) სახითაც, მაგრამ ამ ახალგაზრდა მსახიობმა მომავალში თავი უნდა დააღწიოს მძაფრი განცდების გარეგნულად ექვეტური საშუალებით გამოვლენას, ეს მას დიდად შეუშლის ხელს სცენური სიამართლის პოვნაში.

საერთო ნაკლი, რაც მიუღ სპექტაკლში და ცხადია, აქტიორულ შესრულებაშიც შეინიშნება, ეს არის ერთგვარი ლტოლვა მელოდრამატუზმისაკენ, რაც პიესიდან მომდინარეობს და რასაც ვერც რეჟისორმა აუარა ვერად და ვერც აქტიორებმა. პიესის ავტორის სურდა შეეცმნა სოციალური დრამა, მაგრამ მან მიზნის მოსაღწევად მელოდრამატული საშუალებები გამოიყენა და ნაწილობრივ შენეულა ის სიმძაფრე, რაც თავდაპირველი ჩანაფიქრის მიხედვით უნდა ჰქონდა პიესას. ყოველივე ამას არ შეიძლებოდა გავგონო არ მოეხდინა სპექტაკლზე და ეს ასეც მოხდა, — მსახიობები ზოგჯერ ვერ არიდებენ თავს ალბ მელოდრამატულ განსაზღვრებას

სულ სხვაგვარი განწყობილება ეუფლება მაყურებელს სპექტაკლისაგან ვინ უფოლა ჩვენ შორის ყოყმანს. ბევრი რამ შეიძლება შეგვეჩვენა ავტორისთვის წმიდა დრამატურგიული ოსტატობის მხრივ, მრავალი ნაყოლი მოიძებნება სპექტაკლშიც, მაგრამ აუფრად ეს არ არის მოვარი. უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სოხუმის თეატრში შესანიშნავი ტრადიცია შევიდრდება აფხაზ ავტორთა პიესების დაღმისა და თუ დღეს ჩვენ არ ვაკუაოფილებს მხატვრულ დიდ ამ პიესებისა, სამაგიეროდ კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ჩვენ უფოლო მოწინი ვართ აფხაზური დრამატურგიის საფუძვლის ჩაყრისა. სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ შ. ქეაღას სატარული კომედია, რომელიც ჩვენი ცხოვრების ერთ მეტად საჭირო საკითხს ეხება. ეს არის დღევანდელი აფხაზური სოფლის მშრამელთა ერთსოლოვანი მისწრაფება საკოლმურება წყობის გამაქციებისა და ბრძოლა წარსულის მავნე გავლენების წინააღმდეგ სპექტაკლში მრავალი სცენა ნამდვილი კომედიური იმისუბქით დადგმული. თეატრს ცდია არ დაეცია იმისთვის, რომ პიესის სერიოზული აზრი მახვილი ფორმითა და მხატვრული სისრულთა მიეტანა მაყურებელამდე. ბევრ შემთვევაში ეს ცდია წარმატებით დაგვირგინდა, რასაც ნათლად მოწმობს მაყურებელთა დარსაზის აქტიური რეაგირება ამა თუ იმ სცენური ეპიზოდის მსვლელობისას. საერთოდ, შ. ქეაღას პიესის დადგმა მისასაღმებელი მოვლენაა და თეატრმა კვლავაც უნდა გააგრძელოს აფხაზ ავტორთა პიესების სცენური ხორკუშების მეტად მნიშვნელოვანი, საშვილიშვილო საქმე.

დიდი რუსი მწერლის ა. ჩხხოვის დახადებიდან ასი წლისთავის სათუბელი თარიღს სოხუმის თეატრის ქართული დასი პიესა „ივანოვის“ დადგმით გამოეხმაურა. ა. ჩხხოვის სხვა პიესებისაგან განსვავებით, „ივანოს“ არც თუ ისე დიდი სცენური ისტორია აქვს. ამ პიესას როგორც არც რუსული სცენა სწულობდა და მითუმეტეს, არც ქართული. უფრო მეტიც, ჩხხოვის საუკეთესო პიესებიც კი არც თუ ისე სწორად იდგმებოდა ჩვენს სცენაზე და ამიტომ სოხუმის თეატრის შემოქმედებით კოლექტივს ამ შემთვევაში სრულიად გაუკუაჯავი გზით მოეხდა საიარული. სპექტაკლის დადგმელი, რეჟისორი გიორგი გურული არ სწორედ სინდულეებს და დადგა პიესა, რომელიც დღესაც „ნაყლებად სცენურ“ ნაწარმოებად არის მიჩნეული. ჩვენი აზრით, სოხუმელთა ეს სპექტაკლი ერთის მხრივ უარყოფს უკვე ტრადიციულ კეთულ შეხედულებას „ივანოვის“ არასცენურობაზე, ხოლო მეორეს მხრივ ადისტურებს იმ აღმართა მოსაზრებას, რომელიც ამტკიცებდა, რომ ჩხხოვის დრამატურგთა უნდა იდგმოდეს და კარგადაც უნდა იდგმოდეს ქართულ საბჭოთა სცენაზე.

სოხუმელთა „ივანოვი“ ღრმა სოციალური აზრის მატარებელი, ემოციურად მძაფრი და მხატვრულად მთლიანი სცენური ქმნილებაა. ამ სპექტაკლმა იმითომ დატოვა განსაყურებელი ძლიერი შთაბეჭდილება, რომ მასში მეტად მეყოლოდ, ღრმაროვნად და ხელშესახებად არის გახსნილი ნაწარმოების იდეურ-ფილოსოფიური მხარე. ჩხხოვი იმითომ იქცა რუსული სცენის რეფორმატორად, რომ მან უარყო უკვეღვარი გარეგნული ელემტი, ყაბი თეატრალიზმა და აზრის ხილრება და მოვლენის მნიშვნელობას დაუფიქვია სცენაზე ადგილი. ამიტომ ჩხხოვის მაყურებელს ვერც მოქმედების ორიგინალური სოლუტური განვითარებით მოხიბვდა და ვერც ეგრეების დაპიესავი სცენური სიტუაციით. სათანადო მხატვრული შემოქმედება აქ მოლოდ და მოლოდ პიესის გმირთა ურთულესი სამყაროს საბიტერესო ჩვენებისა და ნაწარმოებების სოციალურ-ფილოსოფიური მხარის სწორი ნაწარმადებითა შესაძლებელია. მაგრამ სპექტაკლის ამგვარმა დაქმუნებამ ერთის წამითაც არ დასცა დაბლა მისი ემოციური ელერიაობა. „ივანოვი“ ისეთი სპექტაკლია, რომელშიც ძალზე მოხდებილად არის შერწყმული ერთმანეთთან აზრის სიღრმე და თეატრალურიზმა, სოციალური შინაარსი და ემოციური სხივი.

სწორად დასმულმა შემოქმედებებმა ამოცანამ, ნაწარმოების შინაარსულად მხარის ფართო სოციალურ ასპექტში გააზრებამ და შემსრულებელთა აქტიურულმა ნიჭიტრებამ წარმატებით გადატრეს ამ სპექტაკლის ბედი. რეჟისორმა გ. გურულმა სპექტაკლს „ივანოვით“ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ იგი მახვილი თეატრალური ფორმის ოსტატი და ღრმად მოაზროვნე ხელგანაა, რომელმაც ერთნაირს



სურათებზე — ზევიდან ქვევით: 1, 2 — სცენები სპექტაკლიდან „ივანოვი“, 3 — სცენა სპექტაკლიდან „ვინ უფოლა ჩვენ შორის ყოყმანს“.



↑ სცენა: სპექტაკლიდან „ჩარლის დედია“ ↓

წარმატებით შეუძლია გადაწყვიტოს სცენური ნაწარმოების გორკ არზობრივი, ისე მხატვრულ-ეთიკური მხარე. ახალგაზრდა მსახიობის, რევაზ თავართილაძის დიდ გარდაცვალებულმა უნდა ჩათვალდეს სიხის მთავარი გმირის, ნიკოლა ივანოვის ურთულესი როლის შესრულება. ეს არის სტრიკოვილი შექმნილებითი შრომის ნაყოფი, რომელიც ამ მხარედი აქტიორის უტყუარი სცენური ტალანტის მეფითი დადასტურებაა. რ. თავართილაძემ ჩოლო გზით სიარული არჩია ხელოვნებაში და არ გამოიღვანა იოლად მისაღწევი და იაფფასიანი წარმატებების მოპოვება. ამიტომ, თუ ზოგჯერ წაილიც შეინიშნება მის თამაშში, სამაგიეროდ ის შემოქმედებითი წარმატება, რასაც ის მტკიცედ აღწევს, ერთიორად ფასებულია სწორედ იმის გამო, რომ ეს არის პერსონალი აქტიორული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანის მიერ ხანგრძლივი და სერიოზული შრომის შედეგად მოპოვებული გამარჯვება.

საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს თინათინ ბოლქვაძე კარგად იცნობს არა მარტო სოხუმის, არამედ ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქების მათურებელიც. ეს არის უკვე ჩამოყალიბებული, საკუთარი შემოქმედებითი სხვის მქონე მსახიობი, რომელიც თავისი შრავალმხრივი სასწერო მონაცემების წყალობით სასურველ შედეგს აღწევს როგორც დრამის, ისე კომედიის თანში. „ივანოვი“ თ. ბოლქვაძემ ივანოვის მეუღლის, ანა პეტროვნას როლი განასახიერა. სპექტაკლის ის საერთო პროფესიული დონე, რომელზედღაც ზევიით იყო დაპარაკი, თ. ბოლქვაძის თამაშშიც იგრძნობა, მაგრამ დასანებელია, რომ ანა პეტროვნას როლი თ. ბოლქვაძემ სრულად ვერ გამოავლინა ის აქტიორული სილადე და სცენურ საშუალება სიხვე, რაც ანა დამახასიათებელია მის მიერვე შექმნილი კლითასათის სპექტაკლში „მელა და ყურდინი“. თუ კლითას შესრულების დროს თ. ბოლქვაძე თამაშად იყენებს ისეთ მხატვრულ ხერხებსა და საშუალებებს, რომლებიც კიდევ უფრო ამღიერებენ და საინტერესოს ხდიან ამ სცენურ სახეს, ანა პეტროვნას როლი მსახიობი ძირითადად ერთ ტონს, ერთ გამას მიმართავს გმირის დახასიათებაში და ამით ერთგვარად აღარბებს მას. ანა პეტროვნა გაცილებით საინტერესო გამოვიდოდა, მეტი გამბედაობა და შემოქმედებითი ძიებისაკენ სწრაფვა რომ გამოემტკიცებინა თ. ბოლქვაძეს.

საიშოვნებით უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა მსახიობის ბორის წიფურიას აქტიორული წინსვლა. იგი დიდის გაცუცებით ასრულებს „ივანოვი“ ბორისის საქმად ჩოლო როლს. ბ. წიფურიაც კარგი მომავლის მქონე შემოქმედებითი ძალა და აღმათ სულ მალე იგი სახასიათო როლების ჩინებული შემსრულებელი გახდება.

დიდი მომხიბვლილობით, სცენური უშუალობით და განცდის სიწიფითი გამოირჩევა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მიხეილ ჩუბინიძე ივანოვის ბიძის, მატევი შაბელკის როლში. ქართული საბჭოთა სცენის ეს გამოჩენილი ოსტატი მის მიერ შექმნილი ყოველი ახალი სცენური სახით დიდ მხატვრულ საიშოვნებას ანიჭებს მათურებელს და ამიტომ, რომ ეს უკანასკნელიც ყოველთვის სიხარულით ედის მის გამოჩენას სცენაზე. რ. ჩუბინიძემ არც შაბელკის შესრულებით გაუმტყუნა იმედი მათურებელს. ეს როლიც ამ მსახიობის საუეთესო ქმნილებათა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს.

კიდევ შეიძლება რამდენიმე აქტიორის დასახელება, რომლებმაც წარმატება მოიპოვეს ამ სპექტაკლში, მაგრამ მათი დახასიათება შორის წაგვიყვანდა. მიუხედავად ამისა, უფოოდ უნდა მოვიხსენიოთ ახალგაზრდა მსახიობის ლეი ფილდუანის უაღრესად მართალი, დრამა შთაბეჭდილო შესახიბრება ექიმ ევგენი ლავოის როლისა. მაღალ შეფასებას იმსახურებს აგრეთვე აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტი ნ. ყიფიანის (ნაშა), თ. ბაბიძის (ბაბუა), აფხაზეთის ასსრ დამახ. არტისტის ი. კანდელაკის (ჩაიხაი სავიშა) და სხვათა თამაშები. საერთოდ, სპექტაკლი „ივანოვი“ ისეთი ნაწარმოებია, რომელიც ნათლად გვიჩვენებს სოხუმის თეატრის პროფესიულ დონესა და მისი ინტერესების სფეროს. ამ სპექტაკლის მიხედვით კი მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ეს არის ძლიერი მხატვრული კოლექტივი, რომლის ქმნილებანი მაღალი პროფესიონალიზმითა და დიდი სცენური კულტურით ხასიათდება.



ქართული საბჭოთა თეატრის წარმოქმნის ნახიჯები

(ახალი მასალები თბილისის პირველი საბჭოთა რევოლუციური თეატრის შესახებ)

ზაქარია მშველიძე

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღეებიდანვე სხვა კულტურულ ღონისძიებებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიექცა თეატრალური ხელოვნების განვითარებას. დისხვა ქართული და რუსული დრამატული თეატრების აღდგენის საკითხი. როგორც ცნობილია, მენშევიკების უღელური ბატონობის წლებში თეატრალური კულტურა დაეცა და არაინი ზრუნავდა მისი აღდგენისა და განახლებისათვის.

მართალია, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ზოგიერთები ცდილობდნენ თბილისში ქართული და რუსული დრამატული თეატრების რეორგანიზაციის, მათი გამოცოცხლების თაობაზე, მაგრამ მენშევიკურმა მთავრობამ მოწინავე საზოგადოებას ამის საშუალება არ მისცა. თბილისის რუსულმა თეატრმა საცადა თავისი რეპერტუარის გამდიდრება საბჭოთა რუსეთთან მიმდებელი ა. ლუნაჩარსკის ბრძოლი — „მეფის დაღი“¹, მაგრამ ქართველმა მენშევიკებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა შეეფერხებინათ მისი განხორციელება.²

მხოლოდ 1921 წლის 25 თებერვლიდან შეიქმნა რეალური შესაძლებლობა ჩვენი თეატრალური ხელოვნების განვითარებისათვის. მიუხედავად ამისა, პირველ ხანებში, რესპუბლიკის თეატრალურ ცხოვრებაში კვლავ იგრძნობოდა მენშევიკების ბატონობის პერიოდთან შეკვივრებით მიხედვითი სიღატაკე, დაბნეულობა.

რომ არაფერი ვთქვათ პროცენტებზე, სადაც ნამდვილად საგალობელ მდგომარეობა იყო, კატასტროფულ ვითარებაში იმყოფებოდნენ თბილისის თეატრებიც. ინტელიგენციის ნაციონალისტურად განწყობილი ნაწილი, რომელიც მენშევიკების დიქტატურის დამხობასთან ერთად, დაპყრობა პოლიტიკური ძალაუფლება, ყოველმხრივი ცდილობდა შეეფერხებინა პროლეტარული კულტურის განვითარება; სურდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ხელიდან გამოეყვანა თეატრი — შრომელთა იდეოლოგიური აღზრდის ეს მძლავრი იარაღი. იგი ბანაკის ქმნიდა და მთელი ხშირ გაჟავიროდა — მდგომარეობა გამოუვალა, თეატრი უნდა დაიხროსო.³

იმ დროისათვის, მართლაც, მძიმე კრიზისულ ვითარებაში მოხვედრილი თეატრალური ცხოვრება განიცდიდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, შრომობრობის მწვევე პროცესს, — უნდა დაბადებულიყო ახალი თეატრი, ახალი აქტიურობითა და რეპერტუარით. ძეგლიდან ახალზე გადასვლის ეს პერიოდი უაღრესად მტკივნეული იყო, ბევრი უიმედოდ უყურებდა საქართველოში თეატრალური ხელოვნების განვითარების პერსპექტივებს. განათლების სახალხო კომისიარატში მოწვეულ ერთ-ერთ ცნობიანზე აზრიც კი გამოითქვა იმის თაობაზე, რომ აქტიურობა და რეკლამისათვის ახალი კადრის გამოჩენაზე თბილისში საერთოდ შეწყვეტილიყო თეატრალური მუშაობა.⁴

მართალია, ამ პერიოდში თბილისში არსებობას ვინა-

რობდა სახალხო თეატრი, მაგრამ მას, მენშევიკების ბატონობის წლებში დაუძლეურებულს, არ შეეძლო შეეცვალა პროფესიული დრამატული თეატრი, თუმცა საქართველოს შრომელთა კულტურული ტრადიციები ყველაზე მეტად სახალხო თეატრის სცენას აქონდა შემოსახული. იგი ყოველთვის ასახავდა შრომელთა იდეალებს. ცარიზმისა და ქართველი სემბოციკოს ბატონობის პერიოდში სახალხო თეატრი წარმოადგენდა ლეგალურ ტროუქსს, საიდანაც ისიძლიდა არსებული უსამართლო წყობილების საწინააღმდეგო მოწოდებას. კანდარმერია-პოლიციის მხრივ მუდმივი დევნა-შევიწროვების მიუხედავად, სახალხო თეატრის გარემო მაინც თავს იყრინდნენ შრომელთა თავისუფლებისა და კულტურული განვითარებისათვის თავდადებული მებრძოლები. ეს შესაძლებელი ხდებოდა მხოლოდ იმით, რომ ამ ფეთქებად ხალხური შემოქმედების მაუკიცვმა⁵.

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ, შრომელთა ცხოვრებაში გაჩნდა ახალი ესთეტიკური მოთხოვნები, რომლებსაც ახალი საკითხები, მათე პასუხის გაცემა უკვე აღუმატებოდა მაშინდელი სახალხო თეატრის შესაძლებლობას, ხოლო შესაფერისი დრამატული თეატრი ჯერ კიდევ არ იყო ორგანიზებული.

არსებული ვითარება მოთხოვდა ისეთი თეატრის ჩამოყალიბებას, რომელიც შესძლებდა ახალი დროის მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ასევე დროს მოამზადებდა პიროვნებს ნამდვილ საბჭოთა დრამატული თეატრის შესაქმნელად. სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ, შეუთხვე მდგომარეობა შეიქმნა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებშიც. „ის წინსვლა, — ვითხოვდნენ იმდროინდელ პრესაში, — რაც ქვეყანამ განიცადა 25 ოქტომბრის შემდეგ, უნდა ასახოს თეატრმა, რომელიც აქამდე ძველი რეპერტუარით ცოცხლობს. სამართლიანობა მოითხოვს გახეცვლად, რომ სხვა ქალაქების დიდი თეატრებიდან თბილისის თეატრი ყველაზე ჩამორჩენილია“⁶.

ამ ვითარებაში, საქართველოს განსაკუთრებით პოლიტიკური განახლების მოთავე სამშობულის ინიციატივით, თბილისში იქმნება პოლიტკულტურის რევოლუციური თეატრი, ქართული, რუსული და სომხური დასები. იგი ჯერ სატირული ავტობიის („სატირ-ავტის“), ხოლო შემდეგ რევოლუციური მხატვრობის („რეჟედის“) თეატრის სახელს ატარებდა.

თბილისის რევოლუციურმა თეატრმა, როგორც გარდაამავალმა საფეხურმა, საქართველოს თეატრის ისტორიაში დადებითი როლი შესარქულა, ხელი შეუწყო თეატრული ხელოვნების გარდასახებას განარჯვებული რევოლუციის მოთხოვნებისამებრ, მოამზადა ნიადაგი საბჭოთა დრამატულ თეატრზე გადასვლისათვის. მის სცენაზე დავაყვავდა ქართველი და რუსი მსახიობების მიხედვითა და მიუხედავად ამისა, თბილისის რევოლუციური თეატრის ისტორია თითქმის შეუსწავლელია. იქნებ ეს ხარვეზი ნაწილობრივ მაინც შეეკასი ამ წერილმა. განსვენებული

1 იხ. გ. ბუნინაჟელო, „თეატრის მდგომარეობა საქართველოში მეშვიკების ბატონობის დროს“, მნათობა, № 9, 1941 წ. გვ. 143—153.

2 დ. ჯანელიძე, „პირველი საბჭოთა სექტეკალი“. თბილისი, 1936 წ. გვ. 8.

3 იქვე, გვ. 78.

4 ვხე. „ქართული სიტყვა“ 1923 წ. 9 დეკემბერი, № 4. „სახალხო თეატრის იტორია (1893 — 1923)“.

5 ვხე. „პირველი გრუზია“, 1921 წ. 6 აპრილი, № 30.

აკადემიკოსის გიორგი ხაჭაპურიძის პირად არქივში ნ. კ. კრუსასკაისა და სხვა განყოფილ მოღვაწეთა წერილებთან ერთად, აღმოვაჩინეთ რუსის სახალხო განათლების პირველი კომისიის ანატოლ გავსილის ძე ულანარსკის დღემდე უცნობი ერთი წერილი, რომელიც ავტორს თბილისის რევოლუციური მხატვრული თეატრისათვის გამოუგზავნიდა.

ა. ვ. ლუნარსკის წერილიდან ირკვევა, რომ თბილისის რევოლუციური თეატრის დაარსებამ სერიოზული როლი შეასრულა და სრ. პოლიტიკაში განათლების მთავარი სამმართველოს მამრიდელ თავმჯდომარე გ. ხაჭაპურიძის თეატრული განყოფილება კი მთავარი პოლიტიკის შესადაგელობაში შედიოდა. პოლიტიკის ამოცანა იყო, საპროტა წყობილების მოთხოვნილებათა შესაბამისად თეატრული ცხოვრება გაორდაქმნა იმ მიზნით, რომ „ყველა თეატრი მასებისათვის ხელმისაწვდომი გაეხადა“⁶. წერილის დასასრულს ა. ვ. ლუნარსკის წერს: „განსაკუთრებულ საღამს ვუძღვნი და. ხაჭაპურიძეს, როგორც ამ თეატრის ინიციატორსა და ორგანიზატორს“. ამ სიტყვებს მივლიანად ადსტურებებს სარტივო მასალები და იმდროინდელი პრესის ცნობები.

1921 წლის აპრილის დამდეგს პოლიტიკური განათლების მთავარ სამმართველოს შეიქმნა თეატრალური განყოფილება („ტეო“), რომელიც შეუდგა თბილისში სატრიული ავტიკაციის („სატრა-ავიტის“) თეატრის ორგანიზაციის ვაჟთი „პრავდა გრუზიი“ ამასთან დაკავშირებით წერდა: „სატრიული ავტიკაციის თეატრს უდიდესი ნიშნელობა აქვს დღეს, როდესაც რევოლუცია დღელს განიღვინა... მან უნდა ასახოს ყოველდღიური ცხოვრება, უნდა დასცინოს ყველას, ვინც კიდევ იმედოვნებს ძველის დაბრუნებას. იგი ილაპარაკებს მუშათა ცხოვრებაზე, მათ გამარჯვებუზე, მომავლის რწმენაზე“⁷.

მთავარი პოლიტიკის განსაკუთრებულთა, 1921 წლის 14 აპრილს თბილისში დაიწინა რევოლუციური სატრის რუსული თეატრი. რეჟისორი იყვნენ ბრასკი და ვოლსკი, ლიტერატურული ნაწილის ხელმძღვანელი — ბავდატიყვი, მხატვარი — ანდრეევი. მაყურებელი მოწონებით შევება მსახიობთა მიერ შესრულებულ მინიატურებს⁸. თეატრს სხვადასხვა დროს წარმოადგინა „მწვანე თეატრული“, „სასაფლაო“ და სხვა.

თბილისის რევოლუციური სატრის თეატრის რუსული განყოფილების გახსნისთანავე რამდენიმე დღის შემდეგ, 27 აპრილს გაიხსნა ქართული განყოფილება, რომელმაც მაყურებელს წარმოადგინა ორიგინალური მინიატურები სხვაგან შედგენილი სანატრესო პროგრამა. ამის შემდეგ იხსნება სომხური განყოფილება, რომელიც საზოგადოებას პირველ დამდამ უჩვენა „აშუღ ყარინი“⁹.

თბილისის რევოლუციური სატრის თეატრის ქართული განყოფილების მუშაობისა და რეპერტუარის თაობაზე მანძილად პრესა ძლიერ კოტას წერდა. იგი მოკლედ იუჩენებოდა, რომ ქართული განყოფილება მაყურებელს უჩვენებს „რევოლუციური პროგრამას“. ამ ხარვეზის შექმნაში, და, საერთოდ, რევოლუციური თეატრის შესახებ დამატებითი ცნობების შეკრებაში დიდად დაგვეხმარნენ სრ. კავშირის სახალხო არტისტები — მიხეილ ჭიკურელი, რომელიც ქართულ დასს ხელმძღვანელობდა, და ვერაკო ანჯაფარიძე, რომელიც ამ დასის ერთ-ერთ თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენდა.

მიხეილ ჭიკურელი გამომოგვეცხა: „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამარჯვებლად რამდენიმე ეპირის შემდეგ გავხსენით რევოლუციური ავტიკაციის ქარ-

თული თეატრი. ჩვენთან მოვიდნენ ახალგაზრდა ლიტერატორები, რომლებიც გვეყურდნენ სკეტებს, პეტიციებს ისინი ამართებდნენ და ექვემდებარებოდნენ. ზოგიერთი მათგანს ტეტს, უნებარე და ა. შ. თეატრმა ორი-სამი წელიწადი იარსება. ნაციონალისტურად განწყობილ ინტელექციანს არ მოსწონდა ჩვენი საქმიანობა. სამაგიეროდ, ახალგაზრდობა გვემხრობოდა და ჩვენი დადგენილები დიდ ინტერესს იწინდა. ქართულ რევოლუციური თეატრთან გავხსენით მორავი განყოფილება. თეატრული მოღვაწეობის ვერაკო ანჯაფარიძე, თასარ ჭიკურაძე, შალვა დამბაძე, მიხეილ გულოვახი, ელენე ციკაქორიძე, მიხეილ ლორთქიფანიძე, ზ. გომეზური და სხვ. რეპერტუარში გვეყრდა სკეტები და პიესები: „სულთნი“ — ნ. მიუკა-ვილისა, „ბერდ ზნანია“ — ს. მანიაშვილისა, „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ — ლ. ანდრეევისა, „ტირვეული ცოლის სირაქული“ — შექსპირისა, „რაც ვინახავს, ვეღარ ხახავ“ — ა. ცაგარელისა და სხვა“.

რევოლუციური სატრის თეატრმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მკაცრი, დაუნდობელი სატრით, ხაკლოვანებათა კრიტიკით. იგი ხელს უწყობდა მუშათა კლასის რევოლუციური სულსაყვეთებით აღზრდას და მშრომელი მასების პატივისცემასა და სიყვარული მისხატვებას. რევოლუციური სატრის თეატრი იყო საქართველო... საბჭოთა თეატრის შექმნისათვის გადადგმული პირველი ნაბიჯი. მაგრამ ცხოვრება წინ მიდიოდა და თეატრის შემდგომ სრულყოფას მოიხივდა.

1921 წლის ზაფხულისა და გაზაფხულის სეზონის შემდეგ, საქართველოს პოლიტიკური განათლების მთავარ სამმართველომ რევოლუციური სატრის თეატრის რეორგანიზაცია მოახდინა. მის ბაზაზე შეიქმნა ორი დასი — მოძრაი და სტაციონარული¹⁰.

მოძრაი დასის საეგზეტილო მოგზაურობის შესახებ მიხეილ ჭიკურელი გამომოგვეცხა: „ხელისუფლებამ მოძრა დასს დაუთმო ერთი მავარი ვაგონი. 1921-1922 წლებში თითქმის მთელი საქართველო მივიარეთ. გასტროლებზე ყვავით ასეთი მარტოობით: თბილისი — ხაშური — ცვირილა — სამტრედილი — ოზურგეთი — სამეგრელოს ქალაქები — ბათუმი. შემდეგ ხივე სამტრედილი, ხაშური, ქაქულა ბორჯომის ხეობა და ახალციხის არხა. მივდიოდით ისეთ სოფლებშიც, სადაც თეატრი არასოდეს ენახათ. წარმოდგენებს ემართებოდათ აივებზე, ზოსლებში, უფრო ხშირად კი — ღია ქვეშ. მსოხებში სპექტაკლის დადგმის შესაძლებლობა მხოლოდ ქალაქებში გვექონდა. გასტროლების პერიოდში გვიხიბებოდა სიცივის, შიმშილის, ვეხით გადასვლების და სხვა მრავალი სინდროსის გადატანა. ზოგჯერ ადგილი ჰქონდა უკრიოზებსაც. ერთი ასეთი მოგზაურობის დროს ტვითი გავკვირდა ავად ვერაკო ანჯაფარიძე. ჩვენ მომიხმინეთ გადავექმნა ყოველგვარი გახიზრება, რადგანაც ღრმად გვეწამდა, რომ ვენახებოდა მოთილი დიდი მომავლის პროდუქტულ ხელოვნებას. ჩვენი ახალგაზრდა გული რევოლუციური სულისკვეთებით იყო ადფორთიანებული“.

თუ სატრიული ავტიკაციის თეატრი იყო პირველი ნაბიჯი საბჭოთა რევოლუციური დრამატული თეატრის დაარსების ვაზზე, „სატრა-ავიტის“ ბაზაზე რევოლუციური სატრიული თეატრის ჩამოყალიბება უფრო შემდგომ ნაბიჯს წარმოადგენდა. მუშათა ფართო აუდიტორიას, რომლის მხატვრული გემოვნება სწრაფად იზრდებოდა, უკვე აღარ აკმაყოფილებდა მინიატურული წარმოდგენები. იგი მოითხოვდა რევოლუციური შინაარსის დიდ მხატვრულ სექტაკლებს. მართალია, ქართული დასი, მიხეილ ჭიკურელის ხელმძღვანელობით, ამ მხრივ მოწოდების სიძალადეზე იდგა — სკეტებთან ერთად რევოლუციური შინაარსის პიესებზე დაგნდა, მაგრამ რუსული დასი კვლავ განარსებოდა მშველ ავტიკაციის ხოლო, როგორც ნ. კ. კრუსასკის

⁶ საქართველოს ოქტომბრის კენც. ენებრ. არქივი (ორკის), ფონ-
8 300, ანაწილი 5, სექცია 21, ფურც. 1.

⁷ „პრავდა გრუზიი“, 1921 წ. 10 აპრილი, № 33.


⁸ „პრავდა გრუზიი“, 1921 წ. 16 აპრილი, № 38.

⁹ „პრავდა გრუზიი“, 1921 წ. 4 ავისტო, № 127.




პოლონეთის თანამედროვე მხატვრების III გამოფენაზე „ზახენტაში“
(ვარშავა)

მხატვ. ზ. ლიფაძე




ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისის ქუჩა
(ერეკლი)



ძველი ზეობა



თბილისის ქუჩა
(ერეკლი)

ამ თეატრის დასი, რომელიც, მისი სიტყვით, სწორ პო-
ზიციებზე იდგა.

როგორც ცნობილია, ა. ლუნარსკის არ უნახავს თა-
ვისი პიესა თბილისის რევოლუციური მხატვრული თეატრ-
ის სცენაზე, რადგან 1922 წელს იგი საქართველოში
არ ჩამოსულა, ხოლო ახალ სეზონში თბილისის რევოლუ-
ციურ მხატვრულ თეატრს შემოიბოძა არ გახსოვლობდა და,
უნდა ითქვას, ამის საჭიროება უფრო ადრე იყო. ამ დრო-
ისათვის საქართველოში იმყოფებოდა გამოჩენილი სხვა-
შობა რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი, რომელმაც მტკი-
ნულ მოკლე ხელი ახალი ამოცანების შესაბამისად ქარ-
თული სამბოთა დრამატული თეატრის თქმნას.

კოტე მარჯანიშვილის დაბრუნებისთანავე, თბილისში
სასწრაფოდ გამოიწვიეს რევოლუციური მხატვრული თე-
ატრის ქართული დასი, რომელიც საკავშირლოდ აქირაბი-
მყოფი იყო. როგორც მიხედვით ჭიკაურელმა ვაძიმოვცა,
მათთვის საზოგადოება გასტროლებს შეწყვეტის წინააღ-
მდევი ყოფილიყო, მაგრამ ერთ საღამოს, მსახიობების დაბ-
რუნების შემდეგ, ვაკანსიასთვის, რომელშიც ისინი ცხოვ-
რობდნენ, მიუძღოთ ორიქონმაგალი და გაუფრთხილებლივ
თბილისისაკენ გამოუქრულა. აქ კოტე მარჯანიშვილი
დასწრება ქართული დასის დადგმებს—რაც ვინახავს,
ვეღარ ნახავ. „ჭიკაურელი ცოლის მორჯულები“—და
მსახიობთა თამაში მოწონებდა. გამოჩენილმა რეჟისორმა
ახალგაზრდა ქართველ მსახიობებში ბრწყინვალე მომავ-
ლის ძალა დაინახა.

კ. მარჯანიშვილმა ჩვეული რევოლუციური ენტუზიაზ-
ში ვაჩაღა მუშაობა. მას სჯეროდა ახალგაზრდობის,
ყოველმხრივ ხელს უწყობდა მათში შემოქმედების ცეცხ-
ლის გაღვლეებას. „ჭიკაურის მეგობრებო, — წერდა იგი
ცოტა მოკვანიებით ახალგაზრდა მსახიობებს, — ჩემი გუ-
ლი აღსავსე უსწავლრო სიხალბით. ჩემი სიყვარული თეატრ-
ში მდებარე გაიკვირებულა ახალი მზის ბრწყინვალე
სიხიბით, იმ რამდენით, რომ თქვენი, ჩემი ახალგაზრდა
მეგობრებო, ძველი თეატრის ხანგაუმეფლე შეურყეველი
ქმნით ახალ, ღამაზე, დიად ხელოვნებას. მე თქვენთან
ვარ“ 13.

ამრიგად, თბილისის რევოლუციურმა მხატვრულმა თე-
ატრმა სამბოთა ხელოვნების პირველ წლებში თვალ-
საჩინო როლი შეასრულა იმ მხრივ, რომ მიმოხიზდა ნია-
დაცე ქართული და რუსული დრამატული თეატრებისათ-
ვის. მიუხედავად ამისა, მისი ისტორია დღემდე თითქმის
შუქსუბუხი იყო, რაც, პირველ რიგში, მასალების სიმ-
ცირით უნდა აიხსნას.

თბილისის რევოლუციური მხატვრული თეატრს

რისდსრ განათლების სახალხო კომისარი 1-1 — 1922 წ.

№ 7471. მოსკოვი

ძვირფასო ამხანაგებო!

თავილ ვასილის ძე იგნატოვმა გადმოგვა ცნობა თქვე-
ნი თეატრის შესახებ და, ამასთან, მეტად მაღალი შეფა-
სება მისცა მას. ჩემთვის მეტად სასიხარულო იყო იმის
გაგება, რომ სამბოთა რესპუბლიკების და, ნაწილობრივ,
საზღვრგარეთის ახალი რევოლუციური თეატრების პატა-
რა ოჯახში გამოჩნდა თქვენი თეატრი, რომელსაც, რო-
გორც ჩანს, მალე მიუღწევია წარმატებისათვის. მე არა
მაქვს საკამო ცნობილ რევოლუციურ თეატრებზე, გარდა
მოსკოვის „პროლეტკულტის“ თეატრისა. ამ თეატრის
დასი გამოირჩევა განსაკუთრებით ენერჯიითა და საქ-
მიანობით სიყვარულით. სამწუხაროდ, ეს დასი მეტად მძი-
ვე ეკონომიურ პირობებში იმყოფება. მისი მდგომარეობის
გაუმჯობესება, სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევძლებთ. ამ თე-
ატრმა შესძლო მიეღწეა შესაძლებელი ტექნიკური შედეგ-

ბისათვის. თეატრის დასმა გაშალა მუშაობა და გადაიქ-
ცა მეტად სინტრეფუს ცოცხალ არსებულ მასალაში. მის
უხედავად ამისა, როგორც მე ვფიქრობ, „პროლეტკულ-
ტის“ ცენტრალური კომიტეტის მოსკოვის თეატრმა ჯერ
კიდევ ვერ მონახა საკმაოდ მყარი ძემა. რასაკვირველია,
ქანაობა და, განსაკუთრებით, ახლის თვისა, ძალიან კარგია,
მაგრამ თვით ქანაობის ამოღებულ ცოცხალ არ იყოს, ძა-
ლიან აფრთხი. ამავე ტიპის მოსკოვის „ტრეტიევი“ თე-
ატრი წარმოადგენს თითქმის საავტოციო თეატრს. კინე-
მატოგრაფიასთან ერთად მის მიერ დადგმული საავტო-
ციო პიესები ჩვენს მასებზე ახლდნენ ძლიერ შთაბეჭდი-
ლებას. მაინც არ შემიძლია ვთქვა, რომ „ტრეტიევი“ მიე-
ღწეოს ისეთი მხატვრული დონისათვის, როგორც სა-
სურველი იყო. სანამთუ თეატრის მდგომარეობისაგან
იგი ჯერ კიდევ შორისაა. განსაკუთრებით სასიამოვნო მოე-
დებოდა მიმართა კარლ მარქსის სახელობის თეატრი ნა-
რატოვში, და ახლა ვიწმობ ძალიან, რომ მის რამე ზოგად
არ მიაყენის სიმშობლივად, რომელიც თავს დაატყდა ამ გუ-
ბერისათ. მე იქ ენახე სიხალბეა და სიძლიერით თითქმის
ყველაზე უკეთესი დადგმა. მისი დასი ისე, როგორც ტრეტი-
ესისა, მხოლოდ ნაწილობრივ შედეგა შეუშინაგან.
მეტრად კი დას შეადგენს პროფესიონალები, მაგრამ
რევოლუციური რწმუნის პროფესიონალები. ასეთი ელემ-
ენტები კი არასოდეს არ მიმართა, და არც მომავალშიც მი-
იჩნევა, მაგნე ელემენტად. მე მაქვს, აგრეთვე, ცნობა
ბერლინის მუშაოთა თეატრზე, რომელიც ჯერჯერობით ერთ-
ადერთია საზღვრგარეთ. ბერლინის თეატრის რეჟი-
სორი არის რამდენიმე მეტად კარგი პიესა. ზოგი მათ-
განი მალე დაიდგება რუსულადაც. მე ვფიქრობ, თქვენი
თეატრი გამოიყენებს ისეთ სინტრეფუს პიესას, როგორც
არის ამერიკელი მწერლისა და ჩვენი კეთილშინდობის
ე. სინკლერის პიესა „პრინცი ჰაიანი“. ჩემთვის სასიხარ-
ულოა მუშაოთა თეატრების ტკბილან ახალი მდგომარეობა
მეტრეფრისა და რამდენიმე პროფესიული თეატრის სა-
ღანდელი მდგომარეობა.

ჩემი აზრით, ჩვენს დრამატურგიაში ამჟამად ზოგი
რამ საინტერესო და ახალია. ამთვის მივაკუთვნებ ვასილ-
ჩენკოს პიესას „ორ დას“, პოვსტერის საუკეთესო საავტო-
ციო პიესებს, რომლებიც თუქვან არ იძლევიან ფართო
ტასაკენს მხატვრულ დადგმისათვის, მაგრამ ავტობის
თვალსაზრისით ძლიერ მოქმედებენ; ჩინურის პიესას
„ღმერთი და ბირა“. ეს პიესა ითარგმნება უცხო ენებზეც.
ბერლინის თეატრს სურს მისი დადგმა.

ჩემთვის ძალიან სინტრეფუს იყო იმის გაგება და
ამას მეტად მნიშვნელოვან ფაქტი, რომ თქვენმა თეატრ-
მა დადგა ჩემი პიესა — „ვასილისა პრემულარია“. შე-
საძლებელია, რომ მალე ჩამოვიდეს საქართველოში და შე-
იძლება პირადად ნახო, თუ რისი ვაკეთება შესძლები
თქვენ მისგან. სიმართლე უნდა ითქვას, მე მას სცენისათ-
ვის არ ვეჭვრო და ბევრი ენებზემოდ, მისი დადგმა სცე-
ნაზე არ შეიძლება. მხოლოდ გორკი მოითხოვდა დაჩინე-
ნი მის დადგმას. სხვათა შორის, ამჟამად მოაგრებდა მის-
ი თარგმნა ინგლისურ ენაზე. და თვით მთარგმნელი ფიქ-
რობს, რომ დადგმას ინგლისში. ყველაფერ კი. რასაკვირ-
ველია, ჩემთვის მეტად სინტრეფუსია, განსაკუთრებით
სინტრეფუსია ამ პიესის ნახვა, როდესაც იგი სრულდება
სცენაზე ისეთი ახალი ძალებით, რომლებიც ჩემს მხატვ-
რულ პლათფორმაზე დაგანს, როგორც დამინათავითა თქვე-
ნი თავი ვასილ ვასილის ძე.

თეატრებში ყოველგვარ წარმატებას იმ გზაზე, რომ
მალევე თქვენ დადგით. მეტად ბედნიერი ვიქნები მოგი-
ნახვით თქვენს წესს. თუ კი ჩემი ჩამოსვლა საქართველოში მო-
ხერხდება. განსაკუთრებულ საღამოს ვუძინებ ამხ. ნაკაპური-
ძეს, როგორც ამ თეატრის ინიციატორს და ორგანიზატორს“.

განათლების სახალხო კომისარი: ა. ლუნარსკი

13 „ჭიკაურის სიტყვა“, 1924 წელს 10 თებერვალი № 13.

Р.С.Ф.С.Р.
Народный комиссар
по
просвещению
1/III-1922 г.
№ 7471
Москва.


В РЕВОЛЮЦИОННЫЙ ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ТЕАТР В
ТИФЛИСЕ.

Дорогие друзья!

Василий Васильевич Игнатюк передал мне известие о Вашем театре и дал ему чрезвычайно высокую оценку. Мне очень приятно было узнать, что в небольшой семье новых революционных театров в советских республиках, а отчасти за пределами их, появился Ваш театр, повидимому, сразу достигший успехов. Я далеко не обо всех рабочих театрах имею сведения. В Москве, кроме театра Пролеткульта, труппа которого отличается поразительным временем и преданностью делу при трудных и к сожалению не удаётся улучшить, достигла некоторых для всех заметных технических результатов. Труппа развернулась в очень интересную свежую артистическую силу, но, как мне кажется, Московский театр Центрального Комитета Пролеткульта не нашел еще достаточно твердого пути. Конечно, колебания, а в особенности искания, очень хорошо, но сама амплитуда колебаний немножко слишком широка. Другой театр этого типа в Москве Теревсат представляет собой почти агитационный театр. Некоторые поставленные им вместе с кинематографом агитационные пьесы производят сильное впечатление на близкие нам массы. Не могу все так сказать, чтобы Теревсат достиг той степени художественности, какая была бы в этом отношении желательна, до состояния образцового театра ему еще очень далеко. Чрезвычайно приятным явлением считаю я театр Карла Маркса в Саратове и очень боюсь сейчас, чтобы этот театр не потерпел бы какогонибудь ущерба от голода, ударившего

эту губернию. Там я видел едва ли не лучшее по свежести и силе постановки. Правда, труппа его также как и в Теревсате только отчасти состоит из рабочих, а большей частью из профессионалов убежденных революционных, а такой элемент я никогда не считал и не буду считать вредным. Я имею также сведения о берлинском рабочем театре, пока единственном за границей. В репертуаре берлинского театра есть, несколько очень хороших пьес. Некоторые из них пойдут в скором времени на русском языке. Я думаю, что Ваш театр воспользуется такой интересной пьесой, как «Принц Хаген» американского писателя и нашего доброжелателя Э. Синклера. Мне совсем незнакомо теперешнее состояние театра в Петербурге и нескольких провинциальных театров типа близкого к рабочим. В драматургии нашей страны, по моему мнению, некоторые интересные новости. К таким я отношу пьесу Васильченко «Две сестры», прекрасные агитационные пьесы Певзнера, хотя и не представляющие из себя раздолья для художественной постановки, но очень сильно действующие в смысле агитации, и пьеса Рейснера «Бог и Блудка». Эта пьеса переводится на иностранные языки и берлинский театр хочет ставить ее. Мне очень интересно было узнать и я считаю для себя очень важным, что Ваш театр поставил мою пьесу «Василия Премудрая». Возможно, что я скоро приеду в Грузию и может быть, сам увижу, что Вы смогли сделать из нее. Писал я ее собственно не для сцены и мне говорили многие, что на сцене она поставлена быть, не может. Только Горький очень усиленно настаивал на ее постановке. Сейчас между прочим заканчивается перевод ее на английский язык, причем переводчик думает ее поставить в Англии. Все это, конечно, мне очень интересно и особенно интересно посмотреть пьесу в исполнении свежей труппы, стоящей на одной со мной художественной платформе, как охарактеризовал Вас Василий Васильевич. Желаю Вам успеха на пути, на который Вы вступили и буду очень счастлив повидаться с Вами в этом году, если поездка моя в Грузию состоится. Особый привет посылаю тов. Хачапуридзе, как инициатору и организатору этого театра.

Нарком по Просвещению А. Луначарский
Секретарь



ლუარსაბ ანდრონიკაშვილი — ხელოვნებისმცოდნე

ვახტანგ ყვანიია



ამოჩენილი ქართველი იურისტის ლუარსაბ ნიკოლოზის ძე ანდრონიკაშვილის მოღვაწეობა არ ყოფილა შემოფარებული პრაქტიკის იურისტის ამ დარგის სწავლულ-პედაგოგის ვიწრო პროფესიული ინტერესებით, ფართო ერუდიცია, დაუსცხრომელი ენერჯია, — ლუარსაბს საშუალება აძლევდა შეხებოდა და გარკვეული კვლია დატვირველინა კულტურის და მეცნიერების სხვადასხვა დარგში. არსებობს მასალები და ცნობები, რომლებიც ცხადყოფენ მის ფილოსოფიურ აზროვნებას, მის განსწავლულობას სოციალოგიაში, მეცურამეტყველებაში, ხელოვნებაში, ხელოვნებათმცოდნეობაში და ა. შ.

ამ წერილის მიზანია გაავსებნით ლუარსაბ ანდრონიკაშვილი როგორც ხელოვნებით და ხელოვნებათმცოდნეობით დაინტერესებული მოღვაწე-მეცნიერი.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, როგორც საერთოდ ხელოვნების თავყანისმცემელი, შესანიშნავად ერკვეოდა სახეის, მუსიკალურ, თეატრალურ ხელოვნებაში, ხელოვნების ამ დარგების თეორიულ საკითხებშიც.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ღრმა ინტერესი მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი შემთხვევითი არ ყოფილა. ვერ კიდევ მოწაფეობის წლებში ლუარსაბი დაეწადა პუშკინის, ლერმონტოვის, პაინის და ბაირონის პოეზიას. შემდეგ, შექსპირის, შილერის, გოტიეს, ჩეხოვის დრამატურგიამ გაიტაცა და საფუძვლიანად გაეცნო კლასიკური ლიტერატურის ღირსშესანიშნავ ქმნილებებს. მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების ნაწარმოებების შესწავლამ გააფართოვა მისი ცოდნა, ამაღლა მისი მხატვრული გემოვნება და ესთეტიკური მოთხოვნილებები.

თბილისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1892 წელს ლუარსაბი პეტროგრადის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა და ამის შემდეგ 1917 წლამდე ამ ქალაქში ცხოვრობდა.

კულტურის დიდმა კერამ პეტროგრადმა, — თავისი დიდი ისტორიული წარსულით, მსოფლიო მნიშვნელობის არქიტექტურული ძეგლებით, მუზეუმებით და თეატრებით, თეატრალური და მუსიკალური სამყაროს შესანიშნავი წარმომადგენლებით ამ სახელგანთქმულმა დედაქალაქმა კიდევ უფრო გააუძლიერა ინტერესი ლუარსაბ ანდრონიკაშვილს ხელოვნებისადმი და საშუალება მისცა ღრმად ჩაწვდომოდა მას.

თანამედროვენი იგონებენ, რომ ლუარსაბი ხშირად უნახავთ ერმიტაჟში, საათობით რომ იდგა და სწავლობდა ლუარსაბ და ვინჩის, რაფაელის, მიქელანჯელოს, რუბენსის, რემბრანდტის, და რენესანსის სხვა დიდ წარმომადგენელთა უცვლად ქმნილებას. იგი კარგად ერკვეოდა იმავე ერმიტაჟსა და რუსულ მუზეუმში წარმოდგენილი რუსული სახეობის ხელოვნების ნიმუშთა კოლექციებში, ცნობილი მხატვრების — ბრულოვის, აივაზოვის, ვენდოტოვის, შიშკინის, რეპინის, სურიაკოვის და სხვათა სურათებში, არქიტექტურაში, ფერწერაში, გრაფიკაში, დიდ ოსატათა განუწერიებელ ხელოვნებაში.

1894-1897 წლებში ლუარსაბ ანდრონიკაშვილი საზღვარგარეთ პაიდელებრებისა და სტრასბურგის უნივერსიტეტებში იმხნედა გამოჩენილი პროფესორების კუნთ ფიშერის, ელინგის, ვილდენბანდის და სხვათა ლექციებს. ამ წლებში იგი საფუძვლიანად დაეუფლა გერმანულ კლასიკურ ფილოსოფიას, განსაკუთრებით ჰეგლის ფილოსოფიას და ესთეტიკას. საზღვარგარეთ მას შემდეგაც მოუხდა ყოფნა — გაეცნო ევროპის ღირსშესანიშნავ მუზეუმებს, არქიტექტურისა და სახეობის ხელოვნების მნიშვნელობა ძეგლებს, თეატრალური კულტურის და ხელოვნების ცნობილ მოღვაწეებს.


ხელოვნების საკითხებით მის ასეთ დაინტერესებას უშედეგოდ არ ჩაუვლია. მისი ლექციები და მოხსენებები ხელოვნებისა და კულტურის სხვადასხვა საკითხებზე დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ პეტროგრადში, მას უსმენდნენ იმ დროის მოწინავე ინტელექტულები და მეცნიერების და ხელოვნების გამოჩენილი ადამიანები.

თუ რაოდენ პოპულარობით სარგებლობდა ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, როგორც ლექტორი და რა აუდიტორიას იკრებდა თავის ვარშემო, ამაზე მეტყველებს ერთი მოვარება, რომელიც ცნობილ მწერალს დავით კლდიაშვილს ეძუთების:

„ცხრაას სამში, — აღნიშნავს დ. კლდიაშვილი, — პეტროგრადში, ბასიანის ქუჩაზე... კრება იყო პოლონოვის ბინაზე, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი მოხსენებას აკეთებდა... მოხსენებას დაესრულნენ მოწინავე ლიტერატორები, იმეჩილები, ჟურნალისტები, საზოგადო მოღვაწეები“¹.

ჩვენი საუკუნის დამდეგს პეტროგრადში მოქმედებდნენ თეატრები: მარინის ოპერისა და ბალეტის, ალექსანდრის სახ. დრამისა და კომედიის, მიხაილოვსკის — ფრანგული დრამისა და კომედიის, სახალხო სახლის, ლიტერატურულ-მხატვრული საზოგადოების (შემდგომში მცირე თეატრალ ფოლესტრი), ეიზორაგის მხარის თეატრი და სხვ. 1905 წლის რევოლუციის წინა პერიოდში შეიქმნა ისეთი ახალი ტიპის თეატრალური კოლექტივები, როგორც იყო ვ. ვ.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილი



¹ დავით კლდიაშვილი ამოთარბობები, ბესები და მოვარებები, გვ. 796, სახელგამი, 1947 წ.



კომისარევესკაისი, მოძრაი დრამატული თეატრი და სხვ. ამ თეატრებში მუშაობდნენ იმ დროის საუკეთესო შემოქმედებითი ძალები ვ. ფ. ხანკავეჯი, თ. ა. პეტროვი, ფ. ი. სტრაჟინსკი, მ. ი. და ნ. ნ. ფიგურენკი, ი. ვ. ერშოვი, მ. ა. სლაინა, ფ. ი. შალაპინი, ა. ა. პავლოვა, ვ. ფ. ნეიენ-სკი, ნ. გ. და ს. მ. ლეგატენი, მ. მ. ფოკინი, ა. ს. არენსკი, ლ. ი. ივანოვი, ი. ი. პეტინი, ვ. ა. მიჩურინა-სამოილოვა, რ. მ. იურივი, რ. მ. პოლონსკი, კ. ნ. იაკოვლევი, მ. ა. გორინი — გორიანოვი, ნ. ნ. ხოლოტოვი, ე. პ. კორჩაგინა-ალექსანდროვსკაია და სხვ.

ამვე პერიოდში პეტროგრადში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ რუსული მხატვრული სიტყვის ისეთი წარმომადგენლები, როგორიც იყვნენ ე. ვ. კურსაკოვი, ი. ა. ბუნინი, ნ. გ. ვაჩინი-მამაილოვა, ა. ი. ვუტარინი, ლ. ნ. ანდრეევი, ა. ა. ბლოკი, ე. ი. ბრიუსოვი, ზენკინი ამათგანი ვაერინაბუნელი იყო გამოცემულმა „ზნანიეს“ ირველი, რომელსაც მ. გორკი მეთაურობდა, „ზნანიე“ ავრტყვებდა და ანებიერებდა რუსული კლასიკური ლიტერატურის დიდ ტრადიციებს.

ლუარსაზ ანდრონიკაშვილს უშუალო ნაცნობობა და კავშირი ჰქონდა პეტროგრადის დიქტარატურული, თეატრალური და მხატვრული შემოქმედების სხვა დარგების გამოჩინულ წარმომადგენლებთან.

